

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი

**თავი I
ზოგადი დებულებები**

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი არეგულირებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების (შემდგომში - დაწესებულება) ავტორიზაციის (შემდგომში - ავტორიზაცია) ექსპერტთა (შემდგომში - ექსპერტთა) შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხებს.

მუხლი 2. ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის მიზანი

ამ წესის მიზნებია:

ა) საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის № 76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესით“ (შემდგომში - დროებითი წესი) გათვალისწინებული ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებების წარმართვისას თანმიმდევრული და სრულყოფილი შეფასების უზრუნველყოფა და ექსპერტთა საქმიანობის გაუმჯობესების ხელშეწყობა;

ბ) ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასების პროცესის გაუმჯობესება, სათანადო კვალიფიკაციის მქონე ექსპერტთა კორპუსის წევრების შერჩევისთვის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და პროცედურის ჩამოყალიბებით;

გ) ექსპერტთა ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დაცვის ხელშეწყობა.

**თავი II
ექსპერტთა კორპუსის შექმნისა და ექსპერტთა შერჩევის წესი**

მუხლი 3. ექსპერტთა კორპუსი

1. ექსპერტთა კორპუსი შედგება ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის, კურიკულუმის ექსპერტის, კვების დარგში ექსპერტისა და სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტისგან, რომლებსაც გააჩნიათ სათანადო კომპეტენცია დროებითი წესით დადგენილი ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან დაწესებულების/დაწესებულების სტატუსის მამიებლის შეფასებისთვის.

2. ერთი და იგივე პირი ექსპერტთა კორპუსში შესაძლებელია შეყვანილ იქნეს რამოდენიმე მიმართულების ექსპერტის კვოტით, თითოეული კვოტის ფარგლებში ამ წესით დადგენილი შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში.
3. ექსპერტთა კორპუსი იქმნება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
4. ექსპერტი არ შეიძლება იყოს ცენტრის თანამშრომელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ცენტრში კალენდარული წლის განმავლობაში დასაქმებულია 3 თვეზე ნაკლები ვადით კონკრეტული მოცულობის სამუშაოს შესასრულებლად.
5. ექსპერტი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შესაბამისი ვადით შეზღუდული აქვს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების/ზოგადსაგანმანათლებლო/პროფესიულ საგანმანათლებლო/უმაღლეს საგანმანათლებლო სფეროში საექსპერტო საქმიანობის განხორციელების უფლება, ამ ვადის ამოწურვამდე.
6. ექსპერტი არ შეიძლება იყოს საჯარო მოხელე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი დასაქმებულია განათლების სისტემაში.
7. ექსპერტი ვალდებულია ამ მუხლის მე-4-მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული გარემოების ან/და ექსპერტის სტატუსთან ამ წესით განსაზღვრული სხვა შეუსაბამო გარემოების დადგომის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს ცენტრს აღნიშნულის თაობაზე.

მუხლი 4. ექსპერტთა კორპუსის წევრების შერჩევა

კურიკულუმის ექსპერტის, კვების დარგში ექსპერტისა და სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტის შერჩევა ხდება ამ წესის მე-5 მუხლით დადგენილი პროცედურის მიხედვით, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის შერჩევა - სერტიფიცირების წესით.

მუხლი 5. კურიკულუმის ექსპერტის, კვების დარგში ექსპერტისა და სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტის შერჩევის პროცედურა

1. კურიკულუმის, სანიტარული და ჰიგიენური ნორმების, კვების დარგში ექსპერტთა შერჩევის პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
 - ა) ერთი ან რამდენიმე მიმართულების ფარგლებში ექსპერტთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადება, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
 - ბ) განაცხადის წარდგენა, რომელსაც უნდა დაერთოს კანდიდატის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლ(ებ)ი და ავტობიოგრაფია (CV), რომლითაც დასტურდება კანდიდატის სამუშაო გამოცდილება;
 - გ) წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადარჩევა საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით;
 - დ) ექსპერტთა შერჩევის მიზნით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით საკონკურსო კომისიის შექმნა, რომლითაც განისაზღვრება კომისიის მანდატი, ფუნქცია-მოვალეობები და მისი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა რელევანტური საკითხები;
 - ე) გასაუბრება;
 - ვ) საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული კანდიდატების შესახებ რეკომენდაციის წარდგენა ცენტრის დირექტორისთვის;

ზ) შერჩეულ კანდიდატთა შესაბამისი კვოტით შეყვანა ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობაში, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. ერთი ან რამდენიმე მიმართულების კვოტის ფარგლებში ექსპერტთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული განათავსებს ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე, შესაძლებლობის შემთხვევაში, სხვა ვებგვერდზე, რომელიც გამოიყენება მსგავსი კატეგორიის განცხადებების საძიებო მიზნებისათვის.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს ექსპერტისთვის ამ წესით დადგენილ ფუნქცია-მოვალეობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და შემდეგ ინფორმაციას:

ა) კონკურსის განმახორციელებელი უწყების დასახელებას;

ბ) კონკურსის ეტაპებსა და ვადებს;

გ) განაცხადის გასაკეთებლად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს, მათი წარდგენის ვადასა და ფორმას;

დ) საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადას.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის გარდა ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება შეიცავდეს სხვა დამატებით მოთხოვნებს.

5. კანდიდატს კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადის წარსადგენად ეძლევა შესაბამის ვებგვერდზე კონკურსის გამოცხადების დღიდან არანაკლებ 5 კალენდარული დღის ვადა.

6. კონკურსში მონაწილეობისათვის კანდიდატი განაცხადს წარადგენს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვებგვერდის მეშვეობით.

7. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ქმედუნარიან პირს, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი მიმართულების ექსპერტისთვის ამ წესის მე-6 მუხლით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

8. კონკურსის გამოცხადების გარეშე ამ მუხლით გათვალისწინებულ ექსპერტთა შერჩევა და ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მათი შესაბამისი კვოტით შეყვანა ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობაში ხორციელდება ცენტრის დირექტორისათვის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული წარდგინების და კანდიდატის წერილობითი თანხმობის საფუძველზე. წარდგინებას თან უნდა ერთოდეს ექსპერტობის კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

9. ამ მუხლით გათვალისწინებულ ექსპერტთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაძლოა განისაზღვროს კონკურსის დამატებითი ეტაპებიც, მათ შორის, სპეციალური კურსის გავლა.

10. ამ მუხლით გათვალისწინებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატს უფლება აქვს მის მიმართ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილება გაასაჩივროს ცენტრში, გადაწყვეტილების გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საჩივარს განიხილავს ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით

შექმნილი სააპელაციო კომისია, ამ წესის მე-12 მუხლით დადგენილი რეგულაციების შესაბამისად და ამ მუხლით დადგენილი კონკურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მუხლი 6. ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. კურიკულუმის ექსპერტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

- ა) აკადემიური უმაღლესი განათლება (სასურველია განათლების/სოციალური მეცნიერებების/ჰუმანიტარული მეცნიერებების/ფსიქოლოგიის მიმართულებით);
- ბ) ბოლო 10 წლის განმავლობაში ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი სამუშაო გამოცდილება;
- გ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:
 - გ.ა) საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“;
 - გ.ბ) საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“;
 - გ.გ) „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილება;
 - გ.დ) „აღზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №478 დადგენილება;
 - გ.ე) „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №488 დადგენილება;
- დ) კომპიუტერული პროგრამების - Microsoft Word; Excel; PowerPoint - ცოდნა;
- ე) ენების ცოდნა:
 - ე.ა) სავალდებულოა ქართულ ენაზე გრამატიკულად გამართული წერა და მეტყველება, წერილობითი ანგარიშის შედგენის, დასაბუთებული რეკომენდაციების ჩამოყალიბებისა და პოზიციის დაცვის უზრუნველსაყოფად;
 - ე.ბ) სასურველია უცხო ენის - ინგლისური, სომხური, აზერბაიჯანული - ფლობა;
- ვ) შემდეგი უნარების/პიროვნული თვისებების ქონა:
 - ვ.ა) მოტივაცია;
 - ვ.ბ) გუნდური მუშაობა;
 - ვ.გ) ეფექტური კომუნიკაცია;
 - ვ.დ) სამართლიანობა;
 - ვ.ე) პასუხისმგებლობა;
 - ვ.ვ) დეტალებზე ორიენტირებულობა;
 - ვ.ზ) ორგანიზებულობა;
 - ვ.თ) ვადებზე ორიენტირებულობა;
 - ვ.ი) ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნება;
 - ვ.კ) სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი;
 - ვ.ლ) კონფლიქტების მართვის უნარი.

2. კვების დარგში ექსპერტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

- ა) აკადემიური უმაღლესი განათლება ერთ-ერთი შემდეგი მიმართულებით: სურსათის გადამამუშავება (სასურსათო ტექნოლოგიის/სურსათის უვნებლობის/საკვები პროდუქტების მეცნიერების/კვების ტექნოლოგიის/კვების პროდუქტების გადამამუშავების/კვების ან

სასურსათო პროდუქტების ექსპერტიზის მიმართულებით), მედიცინა (სასურველია სამედიცინო საქმიანობის ლიცენზია ნუტრიციოლოგიაში, დიეტოლოგიაში, პედიატრიაში ან/და კვების ჰიგიენაში), საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ჯანმრთელობის ხელშეწყობა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჯანდაცვის პოლიტიკა.

ბ) ბოლო 10 წლის განმავლობაში დარგში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი სამუშაო გამოცდილება;

გ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

გ.ა) საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“;

გ.ბ) საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“;

გ.გ) „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილება;

გ.დ) „ტექნიკური რეგლამენტის – „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №487 დადგენილება;

დ) კომპიუტერული პროგრამების - Microsoft Word; Excel; PowerPoint - ცოდნა;

ე) ენების ცოდნა:

ე.ა) სავალდებულოა ქართულ ენაზე გრამატიკულად გამართული წერა და მეტყველება, წერილობითი ანგარიშის შედგენის, დასაბუთებული რეკომენდაციების ჩამოყალიბებისა და პოზიციის დაცვის უზრუნველსაყოფად;

ე.ბ) სასურველია უცხო ენის - ინგლისური, სომხური, აზერბაიჯანული - ფლობა;

ვ) შემდეგი უნარების/პიროვნული თვისებების ქონა:

ვ.ა) მოტივაცია;

ვ.ბ) გუნდური მუშაობა;

ვ.გ) ეფექტური კომუნიკაცია;

ვ.დ) სამართლიანობა;

ვ.ე) პასუხისმგებლობა;

ვ.ვ) დეტალებზე ორიენტირებულობა;

ვ.ზ) ორგანიზებულობა;

ვ.თ) ვადებზე ორიენტირებულობა;

ვ.ი) ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნება;

ვ.კ) სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი;

ვ.ლ) კონფლიქტების მართვის უნარი.

3. სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება ერთ-ერთი შემდეგი მიმართულებით: საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ჯანმრთელობის ხელშეწყობა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჯანდაცვის პოლიტიკა, გარემოს მედიცინა, სანიტარია-ჰიგიენა, ეპიდემიოლოგია, მედიცინა, პროფილაქტიკური მედიცინა, სტომატოლოგია, საექთნო საქმე ან პროფესიული განათლება საექთნო საქმის მიმართულებით.

ბ) ბოლო 10 წლის განმავლობაში დარგში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი სამუშაო გამოცდილება;

გ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

გ.ა) საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“;

გ.ბ) საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“;

გ.გ) „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილება;

გ.დ) „ტექნიკური რეგლამენტის – „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №485 დადგენილება;

დ) კომპიუტერული პროგრამების - Microsoft Word; Excel; PowerPoint - ცოდნა;

ე) ენების ცოდნა:

ე.ა) სავალდებულოა ქართულ ენაზე გრამატიკულად გამართული წერა და მეტყველება, წერილობითი ანგარიშის შედგენის, დასაბუთებული რეკომენდაციების ჩამოყალიბებისა და პოზიციის დაცვის უზრუნველსაყოფად;

ე.ბ) სასურველია უცხო ენის - ინგლისური, სომხური, აზერბაიჯანული - ფლობა;

ვ) შემდეგი უნარების/პიროვნული თვისებების ქონა:

ვ.ა) მოტივაცია;

ვ.ბ) გუნდური მუშაობა;

ვ.გ) ეფექტური კომუნიკაცია;

ვ.დ) სამართლიანობა;

ვ.ე) პასუხისმგებლობა;

ვ.ვ) დეტალებზე ორიენტირებულობა;

ვ.ზ) ორგანიზებულობა;

ვ.თ) ვადებზე ორიენტირებულობა;

ვ.ი) ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნება;

ვ.კ) სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი;

ვ.ლ) კონფლიქტების მართვის უნარი.

4. ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება (სასურველია განათლების ადმინისტრირების ან ბიზნესის ადმინისტრირების ან საჯარო მმართველობის ან განათლების მეცნიერებების ან სოციალური მეცნიერებების მიმართულებით);

ბ) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და საქმიანობის სპეციფიკის შესაბამისად, დაწესებულების ფუნქციონირების, მასში მიმდინარე პროცესების და სპეციფიკის ცოდნა ან/და განათლების სფეროში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების და სპეციფიკის ცოდნა, რაც დასტურდება ბოლო 10 წლის განმავლობაში არანაკლებ 3 წლიანი სამუშაო გამოცდილებით შესაბამის სფეროში;

გ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

გ.ა) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

გ.ბ) საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“;

გ.გ) საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“;

გ.დ) „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილება;

გ.ე) „აღზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №478 დადგენილება;

გ.ვ) „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №488 დადგენილება;

გ.ზ) „ტექნიკური რეგლამენტის – „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №487 დადგენილება;

გ.თ) „ტექნიკური რეგლამენტის – ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №485 დადგენილება.

დ) კომპიუტერული პროგრამების - Microsoft Word; Excel; PowerPoint - ცოდნა;

ე) ენების ცოდნა:

ე.ა) სავალდებულოა ქართულ ენაზე გრამატიკულად გამართული წერა და მეტყველება, წერილობითი ანგარიშის შედგენის, დასაბუთებული რეკომენდაციების ჩამოყალიბებისა და პოზიციის დაცვის უზრუნველსაყოფად;

ე.ბ) სასურველია უცხო ენის - ინგლისური, სომხური, აზერბაიჯანული - ფლობა;

ვ) შემდეგი უნარების/პიროვნული თვისებების ქონა:

ვ.ა) მოტივაცია;

ვ.ბ) გუნდური მუშაობა;

ვ.გ) ეფექტური კომუნიკაცია;

ვ.დ) სამართლიანობა;

ვ.ე) პასუხისმგებლობა;

ვ.ვ) დეტალებზე ორიენტირებულობა;

ვ.ზ) ორგანიზებულობა;

ვ.თ) ვადებზე ორიენტირებულობა;

ვ.ი) ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნება;

ვ.კ) სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი;

ვ.ლ) კონფლიქტების მართვის უნარი.

5. ექსპერტობის კანდიდატის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით/მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით/მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით/მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტის შესაბამისი ნაწილის ცოდნის აუცილებლობა შესაძლებელია განისაზღვროს ამ წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით/მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

თავი III სერტიფიცირება

მუხლი 7. სერტიფიცირების არსი, მიზანი და პრინციპები

1. სერტიფიცირება გულისხმობს ამ თავით დადგენილი წესით კონკურსის ეტაპების გავლასა და შესაბამისი სერტიფიკატის გაცემას. სერტიფიცირების გავლის შედეგად პირს ენიჭება ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის საქმიანობის განხორციელების უფლება ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით, მისი ექსპერტთა კორპუსში შეყვანის შემდგომ.
2. სერტიფიცირების მიზანია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთა კანდიდატთათვის თანაბარი შესაძლებლობებისა და პირობების უზრუნველყოფით მათი კვალიფიკაციის, პროფესიული დონის, ცოდნის, პიროვნული თვისებების, მოტივაციისა და უნარ-ჩვევების შეფასება და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტთა უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბება.
3. სერტიფიცირება ტარდება კანონიერების, სამართლიანობის, საჯაროობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით.

მუხლი 8. სერტიფიცირების ეტაპები და კომისია

1. სერტიფიცირება ითვალისწინებს ხუთ ძირითად ეტაპს, კერძოდ:
 - ა) კონკურსის გამოცხადება;
 - ბ) განაცხადების გადარჩევა;
 - გ) კანდიდატთა შეფასება;
 - დ) შერჩეულ კანდიდატთა წარდგენა ცენტრის დირექტორისათვის;
 - ე) სერტიფიცირებული სპეციალისტის სტატუსის მინიჭება.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ეტაპების გარდა, შესაძლებელია განისაზღვროს კონკურსის დამატებითი ეტაპებიც, მათ შორის, სპეციალური კურსის გავლა.
3. სერტიფიცირების ჩატარების უზრუნველსაყოფად, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება სერტიფიცირების კომისია, რომლითაც განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე და მისი მოადგილე.
4. სერტიფიცირების კომისია შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ეტაპებთან დაკავშირებულ საკითხებზე და ასევე, ამავე ეტაპებზე გასულ კანდიდატებთან მიმართებით.
5. სერტიფიცირების კომისია შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს კომისიის სხდომაზე. სერტიფიცირების კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
6. სერტიფიცირების კომისიის სხდომას იწვევს და ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, რომლის არ ყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციებს ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
7. სერტიფიცირების კომისია გადაწყვეტილებას იღებს კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. სერტიფიცირების კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის სხდომის თავმჯდომარის ხმა.

8. სერტიფიცირების კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. სერტიფიცირების კომისიის წევრს უფლება აქვს დააფიქსიროს განსხვავებული აზრი, რაც აისახება კომისიის სხდომის ოქმში.
9. სერტიფიცირების კომისიის საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ცენტრის თანამშრომლებისგან იქმნება სერტიფიცირების კომისიის სამდივნო, რომელიც უზრუნველყოფს კომისიის სხდომების ოქმების შედგენასა და წარმოებას, კანდიდატთათვის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობას და სხვა სახის ტექნიკური და ორგანიზაციული საქმიანობის განხორციელებას.
10. სერტიფიცირების კომისიის სხდომა შესაძლოა ჩატარდეს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენებით.

მუხლი 9. კონკურსის გამოცხადება

1. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთა სერტიფიცირების მიზნით კონკურსი ცხადდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. სერტიფიცირების წესით ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს ამ წესის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა ფუნქცია-მოვალეობებს და შემდეგ ინფორმაციას:
 - ა) სერტიფიცირების განმახორციელებელი უწყების დასახელებას;
 - ბ) სერტიფიცირების ეტაპებსა და ვადებს;
 - გ) განაცხადის გასაკეთებლად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს (მათ შორის, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლ(ებ)ი და ავტობიოგრაფია (CV), რომლითაც დასტურდება კანდიდატის სამუშაო გამოცდილება), მათი წარდგენის ვადასა და ფორმას;
 - დ) სერტიფიცირების კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადას.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება შეიცავდეს სხვა დამატებით მოთხოვნებს.
4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული განათავსებს ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე, შესაძლებლობის შემთხვევაში, სხვა ვებგვერდზე, რომელიც გამოიყენება მსგავსი კატეგორიის განცხადებების სამიუზო მიზნებისათვის.

მუხლი 10. განაცხადების გადარჩევა

1. კანდიდატის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის ამ წესის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებთან შესაბამისობის შემოწმებას ახორციელებს ცენტრის ადამიანური

რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული ან სერტიფიცირების კომისიის სამდივნო.

2. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატის მიერ წარდგენილი განაცხადი ან/და თანდართული დოკუმენტაცია შეიცავს ტექნიკურ უზუსტობებს ან/და დოკუმენტები არასრულად არის წარდგენილი, ცენტრის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული ან სერტიფიცირების კომისიის სამდივნო უფლებამოსილია, მოსთხოვოს კანდიდატს გონივრულ ვადაში აღნიშნული უზუსტობების გასწორება ან/და დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა.

3. განაცხადების გადარჩევის საფუძველზე განისაზღვრება იმ კანდიდატთა სია, რომელთაც წარმატებით გაიარეს აღნიშნული ეტაპი. კანდიდატი წარმატებით ვერ გაივლის განაცხადების გადარჩევის ეტაპს, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ა) კანდიდატის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია სრულად ვერ აკმაყოფილებს ამ წესის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ბ) კანდიდატის მიერ დამატებითი დოკუმენტაცია არ იქნა წარდგენილი ან ხარვეზი არ აღმოიფხვრა დადგენილ ვადაში.

4. განაცხადების გადარჩევის შედეგები შესაბამისი ოქმის შედგენიდან 5 კალენდარული დღის ვადაში ინდივიდუალურად ეცნობებათ კანდიდატებს წერილობით, მათ მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.

მუხლი 11. კანდიდატთა შეფასება და შერჩეულ კანდიდატთა წარდგენა ცენტრის დირექტორისათვის

1. განაცხადების გადარჩევის ეტაპზე გასულ კანდიდატთა შეფასება ხორციელდება ტესტირების ან/და გასაუბრების ფორმით, რაც განისაზღვრება ამ წესის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.

2. კანდიდატთა შეფასების ეტაპის მიზანია კანდიდატთა საბაზისო ცოდნის ან/და სხვადასხვა უნარებისა და კომპეტენციების შეფასება, რომელიც აუცილებელია ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა საქმიანობისთვის.

3. კანდიდატთა შეფასების ეტაპზე მიღებული შედეგები აისახება სერტიფიცირების კომისიის სხდომის ოქმში ინდივიდუალურად ეცნობება კანდიდატებს, მათ მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.

4. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ოქმის შედგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ხდება შერჩეულ კანდიდატთა წერილობითი ფორმით წარდგენა ცენტრის დირექტორისათვის.

5. ამ ეტაპის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს სერტიფიცირების კომისიის სამდივნო.

მუხლი 12. გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. კანდიდატს, უფლება აქვს მის მიმართ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილება გაასაჩივროს ცენტრში, გადაწყვეტილების გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

2. გასაჩივრების მექანიზმის შექმნის უზრუნველსაყოფად, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება სააპელაციო კომისია, რომლითაც განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე.

3. სააპელაციო კომისია შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს კომისიის სხდომაზე. სააპელაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

4. სააპელაციო კომისია განიხილავს საჩივრებს სერტიფიცირების ან კონკურსის მიმდინარეობის პროცედურულ ნაწილთან დაკავშირებით და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.
5. სააპელაციო კომისიის მიერ მიიღება ორი სახის გადაწყვეტილება:
 - ა) საკონკურსო ან სერტიფიცირების კომისიის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ;
 - ბ) საკონკურსო ან სერტიფიცირების კომისიისათვის საკითხის ხელახალი განხილვის მიზნით დაბრუნების შესახებ.
6. სააპელაციო კომისიის სხდომას იწვევს და ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, რომლის არ ყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციებს ასრულებს კომისიის დამსწრე წევრთა მიერ არჩეული ერთ-ერთი წევრი.
7. სააპელაციო კომისიის სხდომა შესაძლოა ჩატარდეს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენებით.
8. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. სააპელაციო კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გამამწყვეტია კომისიის სხდომის თავმჯდომარის ხმა.
9. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. სააპელაციო კომისიის წევრს უფლება აქვს დააფიქსიროს განსხვავებული აზრი, რაც აისახება კომისიის სხდომის ოქმში.
10. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია საჩივრის განხილვისას, განმარტებების მიღების მიზნით, მოიწვიოს საჩივრის ავტორი, სერტიფიცირების/საკონკურსო კომისიის ან/და მისი სამდივნოს წევრები.
11. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, შესაბამისი ოქმის შედგენიდან 5 კალენდარული დღის ვადაში ინდივიდუალურად ეცნობება საჩივრის ავტორს, მის მიერ მითითებული ელექტრონულ ფოსტის მეშვეობით.
12. სააპელაციო კომისიის საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ცენტრის თანამშრომლებისგან იქმნება კომისიის სამდივნო, რომელიც უზრუნველყოფს კომისიის სხდომების ოქმების შედგენასა და წარმოებას, საჩივრის ავტორისათვის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობას და სხვა სახის ტექნიკური და ორგანიზაციული საქმიანობის განხორციელებას.
13. სააპელაციო კომისიის მიერ ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სერტიფიცირების კომისია უფლებამოსილია აპლიკანტს ინდივიდუალურად გაატაროს სერტიფიცირების/კონკურსის შესაბამისი ეტაპი, რომლის საფუძველზეც ახლიდან მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას ან ძალაში დატოვოს მის მიერ მიღებული თავდაპირველი გადაწყვეტილება, რა შემთხვევაშიც აპლიკანტს შეუძლია სასამართლოში გაასაჩივროს სერტიფიცირების/კონკურსის კომისიის მიერ ძალაში დატოვებული გადაწყვეტილება.

მუხლი 13. კანდიდატისათვის სერტიფიცირებული სპეციალისტის სტატუსის მინიჭება და მისი ექსპერტთა კორპუსში შეყვანა

1. კანდიდატს, სერტიფიცირების ეტაპების წარმატებით დაძლევის შემთხვევაში, ენიჭება სერტიფიცირებულის სტატუსი ცენტრის დირექტორის მიერ შესაბამისი ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 5 წლის ვადით და იგი უფლებამოსილია ამ ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 6 თვით ადრე წერილობითი განცხადებით მიმართოს ცენტრს ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის კვოტით ექსპერტთა კორპუსში შეყვანის მოთხოვნით.

2. განცხადების წარდგენიდან 15 სამუშაო დღის ვადაში ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ხდება სერტიფიცირებული სტატუსის მქონე პირის შეყვანა ექსპერტთა კორპუსში, ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის კვოტით, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

3. სერტიფიცირებული სტატუსის მქონე პირის მიმართ ამ წესის მე-3 მუხლის მე-4 - მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების დადგენის შემთხვევაში, განცხადების წარდგენიდან 15 სამუშაო დღის ვადაში ცენტრი უარს აცხადებს პირის ექსპერტთა კორპუსში შეყვანაზე, აღნიშნული გარემოების აღმოფხვრამდე და წერილობით აცნობებს განმცხადებელს.

4. სერტიფიცირებული სპეციალისტის სტატუსი დასტურდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისი სერტიფიკატის გაცემით, რომელშიც მითითებული იქნება სერტიფიკატის მოქმედების ვადა.

5. სერტიფიკატი გაიცემა ელექტრონულად, ქართულ ენაზე, ცენტრის დირექტორის ხელმოწერით.

6. ცენტრის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს სერტიფიცირებულ პირთა შესახებ მონაცემების აღრიცხვას/დამუშავებას, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

თავი IV

ექსპერტთა ინტერესთა კონფლიქტი და საქმიანობის წესი

მუხლი 14. ექსპერტთა ინტერესთა კონფლიქტი

1. ექსპერტის ინტერესთა კონფლიქტი არის მისი ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესების დაპირისპირება ამ წესის მე-2 მუხლით განსაზღვრულ მიზნებთან. ინტერესთა კონფლიქტად განიხილება, ასევე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოებების არსებობა.

2. ექსპერტი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება დროებითი წესით გათვალისწინებულ შესაბამის წარმოებაში მონაწილეობის მიღებაზე იმ დაწესებულებასთან/დაწესებულების სტატუსის მაძიებელთან მიმართებით, რომელთანაც მას აქვს ინტერესთა კონფლიქტი.

3. ექსპერტმა შესაბამისი საქმისწარმოების დასრულებიდან ერთი წლის მანძილზე არ უნდა დაამყაროს შრომითი ურთიერთობა იმ დაწესებულებასთან/დაწესებულების სტატუსის მაძიებელთან, რომელთან მიმართებით ჩატარებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში იღებდა მონაწილეობას.

4. ექსპერტი არ არის უფლებამოსილი, ცენტრის თანხმობის გარეშე, ცენტრის სახელით გასწიოს კონსულტაცია დროებითი წესით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით.

5. ექსპერტი დაწესებულებაში/დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტამდე, დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის საჭიროების შემთხვევაში,

დაწესებულებასთან/დაწესებულების სტატუსის მაძიებელთან კომუნიკაციას ახდენს მხოლოდ ცენტრის წარმომადგენლის მეშვეობით.

მუხლი 15. ექსპერტთა ჯგუფის შექმნა და წევრთა ფუნქციები

1. ექსპერტთა ჯგუფის შექმნა ხდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შედიოდეს ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შედიოდეს კურიკულუმის ექსპერტი ან/და კვების დარგში ექსპერტი ან/და სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი.

3. ექსპერტთა ჯგუფი შედგება მინიმუმ ორი წევრისგან, რომელთაგან ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის კვოტით შესულ ერთ-ერთ ექსპერტს (თუ ექსპერტთა ჯგუფი შედგება ორი ან მეტი ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტისგან) ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ენიჭება ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის სტატუსი. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა, რაოდენობა, დაწესებულებაში/დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტის ხანგრძლივობა, ექსპერტთა ჯგუფის წევრების/თავმჯდომარის მიერ შესასრულებელი სამუშაო და მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოსთვის ასანაზღაურებელი დღეების რაოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად, დაწესებულების/დაწესებულების სტატუსის მაძიებლის/პროგრამის სპეციფიკის, პროგრამების რაოდენობისა და დაწესებულების/დაწესებულების სტატუსის მაძიებლის რესურსების გათვალისწინებით.

4. მონიტორინგის გზით დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების ფარგლებში, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი, ფორმა და სახე, ასევე ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა, ექსპერტთა ჯგუფის წევრების/თავმჯდომარის მიერ შესასრულებელი სამუშაო, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესასრულებელი სამუშაოსთვის ასანაზღაურებელი დღეების რაოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალური სპეციფიკის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. ექსპერტთა ჯგუფის წევრების ფუნქციები განსხვავებულად რეგულირდება მათი სტატუსის გათვალისწინებით.

6. ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის საქმიანობის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს დაწესებულების/დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება და დასკვნის პროექტისა და საბოლოო სახით ჩამოყალიბებული დასკვნის მომზადება. ამ მიზნით ექსპერტთა ჯგუფის აღნიშნული წევრის ფუნქციებს წარმოადგენს:

ა) ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების მიზანთან (ავტორიზაცია, პროგრამის დამატება, მონიტორინგი და ა.შ.) დაკავშირებული ცენტრის მიერ მიწოდებული დოკუმენტაციის შესწავლა და გაანალიზება ვიზიტის განხორციელებამდე;

ბ) შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად შენიშვნების, მოსაზრებების და შეკითხვების მომზადება და ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან გაზიარება, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარესთან შეთანხმებული ფორმით;

გ) ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დღის წესრიგის შედგენაში მონაწილეობის მიღება;

დ) დაწესებულებაში/დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტის პერიოდში, ავტორიზაციის განაცხადში ან სხვა წარმოების ფარგლებში გაკეთებულ განაცხადებში/ანგარიშში ასახული ინფორმაციის რეალობასთან და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის დავალებით შემდეგი აქტივობ(ებ)ის განხორციელება:

დ.ა) მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით დაწესებულების/დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სტანდარტებთან/კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება;

დ.ბ) დაწესებულების/დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს ჩატარება;

დ.გ) საჭიროების შემთხვევაში, ვიზიტის მიმდინარეობისას დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა, დადგენილი წესის შესაბამისად;

დ.დ) ძირითადი მიგნებების შესახებ ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან ინფორმაციის გაზიარება და განხილვა;

დ.ე) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ძირითადი მიგნებების შესახებ ინფორმაციის დასკვნის პროექტში ასახვა;

დ.ვ) საჭიროებიდან გამომდინარე, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისთვის აუცილებელი სხვა აქტივობების განხორციელება;

ე) დასკვნის პროექტის მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

ვ) დასკვნის პროექტზე დაწესებულების/დაწესებულების სტატუსის მაძიებლის არგუმენტირებული პოზიციის გაცნობა და ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარისთვის საკუთარი მოსაზრების წარდგენა პროექტში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე;

ზ) დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება;

თ) საკუთარი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - ავტორიზაციის საბჭო) სხდომაზე განხილვაში მონაწილეობა.

7. კურიკულუმის ექსპერტის, კვების დარგში ექსპერტისა და სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტთა საქმიანობის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს ექსპერტთა ჯგუფის სხვა წევრისთვის კონსულტაციების გაწევა მათ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების ავტორიზაციის სტანდარტებით/კომპონენტებით განსაზღვრულ ინდიკატორებთან (სანიტარია-ჰიგიენის, კვების, კურიკულუმის, ოჯახისა და თემის ჩართულობის, ემოციური უსაფრთხოების სტანდარტებთან/კომპონენტებთან) შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებით. ამ მიზნით ექსპერტთა ჯგუფის აღნიშნული წევრის ფუნქციებს წარმოადგენს:

ა) შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული კონსულტაციების გაწევა ექსპერტთა ჯგუფისთვის;

ბ) შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად შენიშვნების, მოსაზრებების და შეკითხვების მომზადება და ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან გაზიარება, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარესთან შეთანხმებული ფორმით;

გ) ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დღის წესრიგის შედგენაში მონაწილეობა;

დ) დაწესებულებაში/დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტის პერიოდში, ავტორიზაციის განაცხადში ან სხვა წარმოების ფარგლებში გაკეთებულ განაცხადებში/ანგარიშში ასახული მათ კომპეტენციას მიკუთვნებული ინფორმაციის

რეალობასთან და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, შემდეგი აქტივობების განხორციელება:

დ.ა) კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით დაწესებულების/დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს ჩატარება;

დ.ბ) საჭიროების შემთხვევაში დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა დადგენილი წესის შესაბამისად;

დ.გ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ძირითადი მიგნებების შესახებ ინფორმაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებისთვის გაზიარება;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, დასკვნის პროექტის მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, დასკვნის პროექტზე დაწესებულების/დაწესებულების სტატუსის მაძიებლის არგუმენტირებული პოზიციის გაცნობა და ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარისთვის საკუთარი მოსაზრების წარდგენა პროექტში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე;

ზ) დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება;

თ) საკუთარი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე განხილვაში მონაწილეობა.

8. შესაბამისი წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ფუნქციებს, ამ მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ ფუნქციებთან ერთად, წარმოადგენს:

ა) უხელმძღვანელოს ავტორიზაციის სტანდარტებთან დაწესებულების/დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შეფასების პროცესს;

ბ) დაწესებულების/დაწესებულების სტატუსის მაძიებლის დოკუმენტაციის შესწავლისა და ავტორიზაციის სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით, უზრუნველყოს ჯგუფის წევრებს შორის მოვალეობების განაწილება, ექსპერტთა ჯგუფის წევრების სტატუსის გათვალისწინებით;

გ) მოახდინოს ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების შეჯამება და ამის გათვალისწინებით შეიმუშაოს ვიზიტის დღის წესრიგი/აცნობის ცენტრს დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვის საჭიროების შესახებ;

დ) ვიზიტის განხორციელების შემთხვევაში შეათანხმოს ვიზიტის დღის წესრიგი ცენტრთან და ვიზიტამდე დაგეგმილ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრისას ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან დეტალურად განიხილოს ვიზიტის ფარგლებში განსახილველი და გამოსაკვლევი საკითხები;

ე) ვიზიტისას უხელმძღვანელოს ინტერვიუების პროცესსა და შეხვედრებს დაწესებულების/დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან;

ვ) ვიზიტის ფარგლებში, ყველა მნიშვნელოვანი საკითხის შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, ვიზიტის ყოველი დღე შეაჯამოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან;

ზ) ვიზიტის ბოლოს გააკეთოს შეფასების პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებების პრეზენტაცია დაწესებულების/დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წინაშე;

თ) დადგენილ ვადაში ჩამოაყალიბოს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი და წარუდგინოს ცენტრს;

ი) ცენტრისგან და დაწესებულებისაგან/დაწესებულების სტატუსის მაძიებლისგან მიღებული უკუკავშირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე ჩამოაყალიბოს ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნა და წარუდგინოს ცენტრს;

კ) წარადგინოს დასკვნის შედეგები ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე და პასუხი გასცეს საბჭოს წევრთა შეკითხვებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

9. ექსპერტთა ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია:

ა) იმოქმედოს საკუთარი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში, დაიცვას სუბორდინაცია, ხოლო გადაწყვეტილებები, რომელიც სცდება მისი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებს, შეათანხმოს ცენტრთან;

ბ) დაიცვას შესაბამისი რეგულაციები, რომელიც ვრცელდება მასზე, დაკავებული პოზიციის შესაბამისად;

გ) უზრუნველყოს მისი საქმიანობის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემების დაცვა, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით;

დ) გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს განახორციელოს უშუალო ხელმძღვანელის/ცენტრის ინფორმირება და გადაწყვეტილებები შეათანხმოს მასთან.

10. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე და წევრ(ებ)ი უფლებამოსილი არიან ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე განხილვაში მონაწილეობა მიიღონ კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, რაც აისახება სხდომის ოქმში. აღნიშნულ პირებს კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აღნიშნულის შესახებ წერილობით ან ცენტრის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის - info@eqe.ge მეშვეობით შეატყობინებენ ცენტრს ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ ერთი სამუშაო დღით ადრე. აღნიშნული ინფორმირების ვალდებულება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ხორციელდება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

მუხლი 16. დასკვნის შედგენა

1. ექსპერტთა ჯგუფი დოკუმენტების შესწავლისა და ვიზიტის შემდეგ შეგროვებული ინფორმაციისა და მონაცემების საფუძველზე ადგენს დასკვნას, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმების მიხედვით.

2. ექსპერტთა დასკვნაში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს:

ა) მკაფიო და ნათელი;

ბ) ენობრივად გამართული;

გ) არგუმენტირებული და მტკიცებულებებით გამყარებული.

3. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე უფლებამოსილია დასკვნის კონკრეტული ნაწილის შედგენა დააკისროს ექსპერტთა ჯგუფის კონკრეტულ წევრს, კომპეტენციის გათვალისწინებით. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თითოეულ ნაწილში უნდა აისახოს მთლიანად ექსპერტთა ჯგუფის შეფასებები და რეკომენდაციები. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ჩამოყალიბებაზე პასუხისმგებელია ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე.

4. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში, განსხვავებული აზრი დაერთვება ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

5. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის/დასკვნის ცენტრში წარმოდგენის ვადა განისაზღვრება ექსპერტთა ჯგუფის შექმნის შესახებ ან ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და

დაწესებულებაში/დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტის შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 17. ცენტრის თანამშრომლის მიერ ექსპერტთა საქმიანობის ეფექტიანად წარმართვა და შეფასების ერთიანი მიდგომების დაცვა

1. ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში ეფექტიანად წარმართვისა და შეფასების ერთიანი მიდგომის დაცვის მიზნით, ცენტრი უფლებამოსილია ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტზე მიავლინოს ცენტრის თანამშრომელი, რაც აისახება ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და დაწესებულებაში/დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტის შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.

2. ცენტრის თანამშრომელი:

ა) უზრუნველყოფს ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვასა და შეფასების ერთიანი მიდგომის დაცვას ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების/დაწესებულების სტატუსის მაძიებლის/პროგრამის შეფასების ყველა ეტაპზე;

ბ) ვიზიტის განმავლობაში უზრუნველყოფს ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის სტანდარტებით გათვალისწინებული ყველა საკითხის შესწავლას, რისთვისაც საჭიროების შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფს აწვდის ინფორმაციას გამორჩენილი ან/და დასაზუსტებელი საკითხების შესახებ.

გ) დაწესებულების/დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შეფასების პროცესში პროცედურული დარღვევის შემთხვევაში აცნობებს ცენტრს;

დ) საჭიროების შემთხვევაში, ტექნიკურ დახმარებას უწევს ექსპერტთა ჯგუფს.

3. ცენტრის თანამშრომელი არ მონაწილეობს შეფასებისა და დასკვნის შედგენის პროცესში.

მუხლი 18. ექსპერტთა საქმიანობის ანაზღაურება

ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესი განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

თავი V

ექსპერტთა პროფესიული განვითარება და მათი მუშაობის შეფასება

მუხლი 19. ექსპერტთა პროფესიული განვითარება და ატესტაცია

1. დროებითი წესით გათვალისწინებული ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული პროცესების სრულყოფილად წარმართვისა და შეფასების ერთიანი პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, ცენტრი უზრუნველყოფს ექსპერტების პროფესიულ განვითარებას, კერძოდ, იგი:

ა) ატარებს ტრენინგებს ექსპერტთა კორპუსის წევრებისთვის ავტორიზაციის სტანდარტებისა და პროცედურების, პროცესების, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობისა და პერიოდული უკუკავშირით უზრუნველყოფის მიზნით;

ბ) უზრუნველყოფს ექსპერტებისთვის მათ საქმიანობასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოებისა და დამხმარე მასალების მომზადებას;

- გ) ორგანიზებას უწევს ექსპერტთა კორპუსთან პერიოდულ შეხვედრებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული პროცესების მიმდინარეობის ანალიზის, პრობლემების იდენტიფიცირებისა და არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით.
2. ცენტრი ხელს უწყობს ექსპერტთა ჩართვას სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებსა და უცხოური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების მიერ განხორციელებულ შეფასებებში.
3. ცენტრი ექსპერტთა კორპუსის წევრებს სთავაზობს ტრენინგების ჩატარებას დაწესებულებისა და ექსპერტთა კორპუსის სხვა წევრებისთვის.
4. ამ წესით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ცენტრი უფლებამოსილია განახორციელოს კურიკულუმის/კვების დარგში/სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტთა პერიოდული ატესტაცია. შესაბამისი მიმართულების ექსპერტთა ატესტაცია ცხადდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომლითაც განისაზღვრება ატესტაციის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები.
5. ატესტაციისას მიღებული უარყოფითი შეფასება შეიძლება გახდეს ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საფუძველი.
6. ატესტაციაში კურიკულუმის/კვების დარგში/სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტის მიერ არასაპატიო მიზეზით მონაწილეობის არ მიღება წარმოადგენს ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საფუძველს. ამასთან, საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, ექსპერტი ვალდებულია ცენტრში წარმოადგინოს საპატიო მიზეზის არსებობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები და მასალები, ატესტაციაში მონაწილეობის ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში. ატესტაციაში ექსპერტის მონაწილეობის ვერ მიღების ფაქტის ცენტრის მიერ საპატიოდ ცნობის შემთხვევაში, ექსპერტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განსახორციელებელი აქტივობები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
7. კურიკულუმის/კვების დარგში/სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი უფლებამოსილია ექსპერტთა ატესტაციის პროცესით გათვალისწინებულ ეტაპზე მიღებული უარყოფითი შეფასება წერილობითი ფორმით გაასაჩივროს ცენტრში, ექსპერტთა ატესტაციის საბოლოო შედეგებზე დაყრდნობით მისთვის ინდივიდუალური შედეგის გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.
8. ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისია, რომელიც განიხილავს კონკრეტული ატესტაციის ფარგლებში მიღებულ უარყოფით შეფასებასთან დაკავშირებულ საჩივრებს.
9. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისგან, რომელთაგან ერთ-ერთი, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, განისაზღვრება აღნიშნული კომისიის თავმჯდომარედ. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისიის საქმიანობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
10. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისია თითოეულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი ცენტრში რეგისტრაციიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.

11. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისია, წარმოდგენილი საჩივრისა და კონკრეტული ატესტაციის ფარგლებში არსებული მასალების გათვალისწინებით, იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) საჩივრის დაკმაყოფილებისა და კურიკულუმის/კვების დარგში/სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტისთვის დადებითი შეფასების მინიჭების თაობაზე;

ბ) უარყოფითი შეფასების ძალაში დატოვების თაობაზე.

12. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში წერილობითი ფორმით ეცნობება კურიკულუმის/კვების დარგში/სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტსა და ცენტრის დირექტორს.

13. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისიის მიერ ამ მუხლის მე-11 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, კურიკულუმის/კვების დარგში/სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტისთვის ექსპერტთა ატესტაციის პროცესით გათვალისწინებულ ეტაპებთან დაკავშირებული შესაბამისი აქტივობები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

14. იმ შემთხვევაში, თუ კურიკულუმის/კვების დარგში/სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტს ატესტაციისას მიღებული უარყოფითი შეფასების ან ატესტაციაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის საფუძველით უწყდება ექსპერტთა წევრობის სტატუსი და ამავდროულად, შეწყვეტის მომენტისთვის იგი ასრულებს ამ წესით გათვალისწინებულ ფუნქცია-მოვალეობებს, ასეთ შემთხვევაში მისი ექსპერტთა კორპუსის წევრობის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტში მიეთითება აღნიშნული აქტის ამოქმედების თარიღი, რაც დაკავშირებული უნდა იყოს ექსპერტის მიერ კონკრეტული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მისი ფუნქცია-მოვალეობების დასრულების მომენტთან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირი უარს აცხადებს დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობის შესრულებაზე.

მუხლი 20. ექსპერტთა მუშაობის შეფასება

1. ექსპერტთა მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, ცენტრი ახორციელებს მათი საქმიანობის შეფასებას ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული კითხვარების მიხედვით.

2. ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის შეფასების კითხვარს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტის ჩაბარებამდე ავსებს დაწესებულება/დაწესებულების სტატუსის მამიებელი, საბოლოო სახით ჩამოყალიბებული დასკვნის ჩაბარების შემდეგ ავსებს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ხოლო ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შემდეგ ცენტრის თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ექსპერტთა ჯგუფის მუშაობის ეფექტიან წარმართვაზე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით ექსპერტთა საქმიანობის შეფასების კითხვარის შევსებას უზრუნველყოფს ცენტრის თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ექსპერტთა ჯგუფის მუშაობის ეფექტიან წარმართვაზე.

4. ცენტრი ექსპერტთა საქმიანობის შეფასებას ახორციელებს ექსპერტის მიერ ერთმანეთის მიმდევრობით სამი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებით ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შევსებული კითხვარების საფუძველზე.

5. ექსპერტის საქმიანობის უარყოფითი შეფასება შეიძლება გახდეს კონკრეტული ექსპერტის ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საფუძველი.
6. ექსპერტთა მუშაობის შეფასების მიზნით ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული კითხვარები შეიძლება შეივსოს ელექტრონულად.

თავი VI

ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი

მუხლი 21. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეჩერება

1. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეჩერების საფუძველია:
 - ა) ექსპერტის მიერ ცენტრის თანამშრომლის პოზიციის დაკავება (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ცენტრში კალენდარული წლის განმავლობაში დასაქმებულია 3 თვეზე ნაკლები ვადით კონკრეტული მოცულობის სამუშაოს შესასრულებლად);
 - ბ) ავტორიზაციის საბჭოს/სააპელაციო საბჭოს წევრად ექსპერტის დანიშვნა.
2. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეჩერების შესახებ გამოიცემა ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ექსპერტის სტატუსის შეჩერების შესახებ ინფორმაცია აისახება ექსპერტთა კორპუსში.
4. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეჩერების შემთხვევაში ექსპერტი ვედარ განახორციელებს ამ წესით გათვალისწინებულ საქმიანობას, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დასრულებამდე, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
5. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოება დადგა ექსპერტის მიერ ამ წესით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების პერიოდში, ექსპერტი ვალდებულია სრულყოფილად განახორციელოს მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები, გარდა შესაბამის საბჭოს სხდომაზე განხილვაში მონაწილეობისა.
6. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დასრულების შემთხვევაში გამოიცემა ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ექსპერტთა კორპუსის წევრობის აღდგენის შესახებ.
7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ექსპერტის სტატუსის აღდგენის შესახებ ინფორმაცია აისახება ექსპერტთა კორპუსში.
8. ამ მუხლის პირველი პუნქტითა და მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდებას ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის უზრუნველყოფს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული, რათა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სამსახურებრივი ბარათით მიმართოს ცენტრის დირექტორს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე.

მუხლი 22. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტა

1. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

- ა) კურიკულუმის/კვების დარგში/სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტთა ატესტაციისას მიღებული უარყოფითი შეფასება ან ატესტაციაში ექსპერტის მიერ არასაპატიო მიზეზით მონაწილეობის არ მიღება;
- ბ) ექსპერტის მიერ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსის“ ნორმების დარღვევა;
- გ) ექსპერტის მიერ მისი ფუნქციების არაჯეროვანი შესრულება;
- დ) ექსპერტის მიერ ამ წესის მე-14 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა;
- ე) ექსპერტის პირადი განცხადება;
- ვ) ექსპერტის მიმართ, კანონიერ ძალაში შესული, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
- ზ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპერტის ქმედუვნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად ცნობა;
- თ) ექსპერტის გარდაცვალება;
- ი) ამ წესის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ექსპერტის საქმიანობის უარყოფითი შეფასება;
- კ) ექსპერტის მიერ ამ წესით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელების თაობაზე ცენტრის ზედიზედ ხუთ შეთავაზებაზე არასაპატიო მიზეზით უარის თქმა;
- ლ) ცენტრის მიერ ორგანიზებულ ექსპერტთა პროფესიული განვითარების ღონისძიებებში არასაპატიო მიზეზებით მონაწილეობის არ მიღება;
- მ) სერტიფიცირებული სპეციალისტის სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატის მოქმედების 5 წლიანი ვადის გასვლა.

2. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სისტემური ცვლილებების და/ან ექსპერტების ახალი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის ან/და მათი საქმიანობის წესის არსებითი ცვლილების შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ექსპერტთა კორპუსის რეორგანიზაციისა და ექსპერტთა კორპუსის ახალი შემადგენლობის ფორმირების შესახებ.

3. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის შესახებ გამოიცემა ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც ხდება ექსპერტთა კორპუსიდან პირის ამოღება.

4. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში პირი ვეღარ განახორციელებს ამ წესით გათვალისწინებულ საქმიანობას.

მუხლი 23. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტასთან დაკავშირებული ზოგიერთი სამართლებრივი ურთიერთობის განხორციელების წესი

1. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტაზე ადმინისტრაციული წარმოება იწყება დაინტერესებული პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე ან/და ცენტრის ინიციატივით, გარდა ამ წესის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. დაინტერესებული პირის წერილობითი განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;
- ბ) განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს;

გ) ექსპერტის სახელსა და გვარს;

დ) მოთხოვნას;

ე) განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;

ვ) განცხადებაზე თანდართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

3. ამ წესის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შესახებ ცენტრში წარმოდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს შესაბამის დასაბუთებას.

4. ანონიმური წერილები და შეტყობინებები არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ექსპერტის კორპუსის წევრობის შეწყვეტის საკითხის განხილვას.

5. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების/დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ცენტრის დირექტორს ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებულ რეკომენდაციას წარუდგენს ცენტრის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

6. ექსპერტის მიმართ ამ წესის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „დ“ ან/და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ქმნის არანაკლებ 3 კაციან ეთიკის კომისიას. ეთიკის კომისია სრული შემადგენლობის უმრავლესობით ცენტრის დირექტორს წარუდგენს შესაბამის რეკომენდაციას.

7. ეთიკის კომისია რეკომენდაციას ამზადებს ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

8. ამ მუხლის მე-5 ან/და მე-6 პუნქტით დადგენილი რეკომენდაციის გათვალისწინებით, ასევე, ექსპერტის მიერ ჩადენილი გადაცდომის შინაარსის, სიმძიმისა და დამდგარი შედეგის საფუძველზე, ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ექსპერტის უფლებამოსილების შეწყვეტისა და ექსპერტთა კორპუსიდან ამოღების შესახებ;

ბ) ექსპერტის უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ერთი თვის ვადაში:

ა) დაინტერესებული პირის განცხადების რეგისტრაციიდან;

ბ) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ცენტრის დირექტორისათვის წარდგენილ სამსახურებრივ ბარათზე ცენტრის დირექტორის წერილობითი თანხმობის მიღებიდან.

10. თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ამ მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილზე მეტი ვადა, მაშინ ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლებელია გამოიცეს არაუმეტეს სამი თვის ვადაში, რის შესახებაც ცენტრს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას გამოაქვს გადაწყვეტილება ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ.

11. ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია ექსპერტს მისცეს

შესასრულებლად სავალდებულო მითითება წერილობითი ფორმით, შემდგომში აღნიშნული მითითების გათვალისწინების/შესრულების ცენტრის დირექტორის მიერ განსაზღვრული მექანიზმითა და ვადაში შემოწმების უფლებით. ექსპერტის მიერ აღნიშნული მითითების შესაბამის ვადაში არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ექსპერტისათვის ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის შესახებ.

12. ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილება 10 კალენდარული დღის ვადაში უნდა ჩაბარდეს ექსპერტს პირადად, ხოლო მისი გამოუცხადებლობის შემთხვევაში, უნდა გაეგზავნოს ფოსტით/ელექტრონულ ფოსტაზე.

13. ამ წესის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ ან/და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების საფუძველზე, ექსპერტისთვის ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 წლის განმავლობაში პირი არ არის უფლებამოსილი ახლიდან გახდეს ექსპერტთა კორპუსის წევრი.

თავი VII გარდამავალი დებულებები

მუხლი 24. გარდამავალ პერიოდში ამ წესით გათვალისწინებული ზოგიერთი სამართლებრივი ურთიერთობის განხორციელების წესი

1. გარდამავალ პერიოდში ამ წესის III თავით (სერტიფიცირება) გათვალისწინებული კონკურსის ეტაპები, კონკურსის შესაბამისი ეტაპების ვადები, ამავე ეტაპებით განსაზღვრული აქტივობები და მათი განხორციელების ფორმები შესაძლებელია დადგინდეს განსხვავებულად, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. გარდამავალ პერიოდად ჩაითვალოს პანდემი(ებ)ის, მათ შორის, ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების საფრთხის აღმოფხვრამდე პერიოდი.